საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 136

07 09 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის ხოჯორნის ტერიტორიული ერთეულის სოფელ ბრდაზორის მცხოვრებთა განცხადების განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 სექტემბრის სხდომის N14 ოქმის მე-9 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის ხოჯორნის ტერიტორიული ერთეულის სოფელ ბრდაზორის მცხოვრებთა განცხადების (რეგ.N774/05. 24.08.2015წ) გათვალისწინებით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს 150 ლიტრი დიზელის საწვავის გამოყოფა სოფელ ბრდაზორის მოსახლეობისათვის, რომლებიც საკუთარი ძალებით მოაწესრიგებენ და მოხრეშავენ სოფელ ბრდაზორის შიდა სასოფლო გზას.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

ნაბი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI